# IQOS

მომხმარებლის სახელმძღვანელო

**IQOS** ORIGINALS DUO™

# IQOS ORIGINALS DUO™ დამტენი მოწყობილობა*




# IQOS ORIGINALS DUO™ გასახურებელი მოწყობილობა*




*IQOS ORIGINALS DUO™ თავსებადია IQOS 3-სა და IQOS 3 DUO-თან.
*IQOS ORIGINALS DUO™ თავსებადია მხოლოდ HEETS™-ის თამბაქოს ღერებთან.

# დატენვა და წმენდა



დამტენი კაბელი



კვების ბლოკი



ორმაგი საწმენდი ხელსაწყო



საწმენდი ჩხირები

myIQOS

მომხმარებლის სახელმძღვანელოს, მომხმარებელზე ზრუნვისა და IQOS-ის მომხმარებლების გახანგრძლივებული მხარდაჭერის სერვისებისთვის, ეწვიეთ

**www.iqos.com/myiqos**

## მახასიათებლები და პარამეტრები

მოახდინეთ თქვენი IQOS გამოცდილების პერსონალიზირება IQOS აპლიკაციის* საშუალებით.

დაასკანერეთ QR კოდი, ან ეწვიეთ ვებგვერდს **www.iqos.com/originals** და მიჰყევით ინსტრუქციას.

* IQOS აპლიკაცია შესაძლებელია არ იყოს ხელმისაწვდომი თქვენს ქვეყანაში.

# ჩართვა






### ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲩᲐᲠᲗᲕᲐ

დააჭირეთ და 4 წამის განმავლობაში გეჭიროთ თითი IQOS ORIGINALS DUO™-ს დამტენი მოწყობილობის ჩართვის ღილაკზე, შემდეგ აუშვით. გასახურებელი მოწყობილობის და დამტენი მოწყობილობის სტატუსის მაჩვენებლები ნელ-ნელა აინთება.

### ᲒᲐᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲢᲔᲜᲕᲐ

მოათავსეთ IQOS ORIGINALS DUO™-ს გასახურებელი მოწყობილობა დამტენ მოწყობილობაში და დახურეთ გვერდითი პანელი.

გასახურებელი მოწყობილობის სტატუსის მაჩვენებლის ნათება მიუთითებს დატენვის დონეს.

# შეამოწმეთ გასახურებელი მოწყობილობის სტატუსი




### ᲒᲐᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐ

სტატუსის შესამოწმებლად, თითი დააჭირეთ და შემდეგ აუშვით გასახურებელი მოწყობილობის ღილაკს.

IQOS ORIGINALS DUO™-ს გასახურებელი მოწყობილობის ნათება მიუთითებს მისი დატენვის დონეს.




### IQOS ORIGINALS DUO™-ᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐ IQOS ORIGINALS DUO™-ᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲔᲜ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲐᲖᲔ

IQOS ORIGINALS DUO™-ის ელემენტის სტატუსის შესამოწმებლად, დააჭირეთ და შემდეგ აუშვით თითი დამტენი მოწყობილობის ღილაკს.

# როგორ უნდა გამოიყენოთ თქვენი IQOS ORIGINALS DUO™



### 1. ᲛᲝᲐᲗᲐᲕᲡᲔᲗ HEETS™ ᲒᲐᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝᲡ ᲦᲔᲠᲘ

ჩადეთ და ფრთხილად დააწექით HEETS™ გასახურებელი თამბაქოს ღერს ფილტრის ხაზამდე, ისე რომ ფილტრი დარჩეს გარეთ.




### 2. ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲗ ᲒᲐᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ

დააჭირეთ IQOS ORIGINALS DUO™-ის გასახურებელი მოწყობილობის ჩართვის ღილაკს და გეჭიროთ, სანამ მოწყობილობა დაიწყებს ვიბრაციას და ნათება თეთრად ციმციმს.

# როგორ უნდა გამოიყენოთ თქვენი IQOS ORIGINALS DUO™



### 3. დაიწყეთ გამოყენება

IQOS ORIGINALS DUO™-ის გასახურებელი მოწყობილობის ორი ვიბრაციის შემდეგ დაიწყეთ გამოყენება.



### 4. მოხმარება თითქმის დასრულებულია

IQOS ORIGINALS DUO™-ის გასახურებელი მოწყობილობის ვიბრაცია და ღილაკის თეთრად ციმციმი მიანიშნებს დარჩენილ 30 წამს ან 2 ნაფაზს.



### 5. ამოიღეთ HEETS™ გასახურებელი თამბაქოს ღერი

აწიეთ თავსახური და ამოიღეთ გამოყენებული HEETS™ გასახურებელი თამბაქოს ღერი.

# გასახურებელი მოწყობილობის წმენდა





### 1. ᲝᲠᲛᲐᲒᲘ ᲡᲐᲬᲛᲔᲜᲓᲘ ᲮᲔᲚᲡᲐᲬᲧᲝᲡ ᲛᲑᲠᲣᲜᲐᲕᲘ ᲗᲐᲕᲘ

მას შემდეგ, რაც გასახურებელი მოწყობილობა გაგრილდება, ასწიეთ და მოხსენით თავსახური. მოათავსეთ ორმაგი საწმენდი ხელსაწყოს მბრუნავი თავი გასახურებელ მოწყობილობაში და ფრთხილად **დაატრიალეთ.**

### 2. ᲡᲐᲬᲛᲔᲜᲓᲘ ᲗᲐᲕᲘ

მოათავსეთ ორმაგი საწმენდი ხელსაწყოს საწმენდი თავი გასახურებელ მოწყობილობაში და ფრთხილად ამოძრავეთ გვერდებზე **მარცხნიდან მარჯვნივ.** გაწმინდეთ ყოველდღიურად ოპტიმალური გამოყენებისათვის.



### ᲡᲐᲬᲛᲔᲜᲓᲘ ᲩᲮᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ

გასახურებელი მოწყობილობის გასაწმენდად მასში მოათავსეთ საწმენდი ჩხირი და გაწმინდეთ წრიული მოძრაობით. არ შეეხოთ გასახურებელი მოწყობილობის დანას IQOS-ის საწმენდი ჩხირით.

# რჩევები და მინიშნებები



### დამტენი მოწყობილობის ელემენტის სტატუსის შემოწმება

დამტენი მოწყობილობის ელემენტის სტატუსის შესამოწმებლად, სწრაფად დააჭირეთ თითი ჩართვის ღილაკს. ელემენტის დატენვის სტატუსს გვიჩვენებს ნათება.




### გადატვირთვა

დააჭირეთ თითი დამტენი მოწყობილობის ღილაკს და გეჭიროთ მანამ, სანამ ნათება ნელ-ნელა არ ჩაქრება. შემდეგ აუშვით თითი. სტატუსის მაჩვენებელი ყველა ნათება გამოირთვება, აციმციმდება ორჯერ და ნელ-ნელა აინთება, გადატვირთვის დასადასტურებლად.



### ნათების ორჯერ ციმციმი

მიუთითებს, რომ მოწყობილობის ფუნქციონირებისთვის შეუფერებელი ტემპერატურაა (0°C-40°C), ან გასახურებელი მოწყობილობა უნდა მოთავსდეს დამტენ მოწყობილობაში, ისე რომ სრულ დატენვამდე გვერდითი პანელი დახურული იყოს.



### წითელი ნათების ციმციმი

გადატვირთეთ IQOS ORIGINALS DUO™. თუკი წითელი ნათების ციმციმი გრძელდება, დაუკავშირდით მომხმარებელზე ზრუნვის განყოფილებას.

IQOS

*ეს გახლავთ უსაფრთხოების სიგნალის სიმბოლო. გამოიყენება თქვენთვის პოტენციური ფიზიკური ზიანის საფრთხის შესახებ შეტყობინებისთვის.*

# უსაფრთხოების ზომები და ინსტრუქციები

**გთხოვთ, გამოყენებამდე გაეცნოთ უსაფრთხოების ზომებს და ინსტრუქციებს, ფიზიკური დაზიანების თავიდან აცილების მიზნით.**

**მოცემული უსაფრთხოების ზომები და ინსტრუქციები ვერ დაფარავს ყველა შესაძლო გარემოებას და სიტუაციას, რომელიც შეიძლება დადგეს. მომხმარებლებმა უნდა გამოიჩინონ ყურადღება და სიფრთხილე.**

# შეინახეთ უსაფრთხოების ზომების და ინსტრუქციების დოკუმენტი, რადგან ის შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას.

**მომხმარებლები ვისთვისაც განკუთვნილია ინფორმაცია**

- IQOS ORIGINALS DUO™-ის და HEETS™-ის გასახურებელი თამბაქოს ღერები განკუთვნილია მხოლოდ სრულწლოვანთათვის.
- IQOS ORIGINALS DUO™-ის და HEETS™-ის გასახურებელი თამბაქოს ღერები განკუთვნილია იმ სრულწლოვანი მწეველებისა და ნიკოტინის მომხმარებლებისთვის, რომლებიც სხვაგვარად განაგრძობდნენ მოწევას.
- ბავშვებმა და მოზარდებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიყენონ IQOS ORIGINALS DUO™-ის ან HEETS™-ის გასახურებელი თამბაქოს ღერები.
- IQOS ORIGINALS DUO™-ის ან HEETS™-ის გასახურებელი თამბაქოს ღერები არ უნდა გამოიყენონ შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან ფსიქიკური შესაძლებლობის ან ნაკლები გამოცდილებისა და ცოდნის მქონე პირებმა, სანამ არ იქნებიან ზედამხედველობის ქვეშ და სანამ არ გაიაზრებენ რისკებს.

**თამბაქო და ნიკოტინი**

- HEETS™-ის გასახურებელი თამბაქოს ღერები შეიცავს ნიკოტინს, რომელიც იწვევს დამოკიდებულებას.

- IQOS ORIGINALS DUO™-ის და HEETS™-ის გასახურებელი თამბაქოს ღერები არ გახლავთ უსაფრთხო. თამბაქოსთან დაკავშირებული ჯანმრთელობის რისკების შესამცირებლად საუკეთესო გზაა თამბაქოსა და ნიკოტინის მოხმარებისთვის თავის დანებება.
- IQOS ORIGINALS DUO™-ის და HEETS™-ის თამბაქოს ღერების ზოგიერთმა მომხმარებელმა აღნიშნა, რომ განიცადა მუცლის ტკივილი, ხრჩობის შეგრძნება, ხველა, სუნთქვის გართულება, თავბრუსხვევა, პირის სიმშრალე, ყელის სიმშრალე, გინგივიტი, თავის ტკივილი, სისუსტე, ცხვირის გაჭედვა, გულისრევა, პირის გაღიზიანება, გახშირებული გულისცემა, ყელის გაღიზიანება და ღებინება.
- ნიკოტინის შემცველი პროდუქტები არ უნდა გამოიყენონ იმ ადამიანებმა, რომლებსაც აქვთ გულის დაავადება ან იმყოფებიან გულის დაავადების რისკის ქვეშ, აქვთ დიაბეტი, ეპილეფსია ან კრუნჩხვები.
- ნიკოტინის შემცველი პროდუქტები არ უნდა გამოიყენონ ორსულობისა და ძუძუთი კვების დროს. თუ ხართ ორსულად, კვებავთ ძუძუთი ან ფიქრობთ, რომ ხართ ორსულად, თქვენ უნდა შეწყვიტოთ თამბაქოს და ნიკოტინის მოხმარება ერთიანად.
- მოწევის შეწყვეტამ ან IQOS ORIGINALS DUO™-ის და HEETS™-ის გასახურებელ თამბაქოს ღერებზე ან ნიკოტინის შემცველ სხვა სახის პროდუქტზე გადასვლამ შესაძლებელია მოითხოვოს კონკრეტული მედიკამენტების დოზირების დარეგულირება. (მაგ. თეოფილინი, ქლოზაპინი, როპინიროლი).
- თუ გაქვთ კითხვები უნდა გამოიყენოთ თუ არა IQOS ORIGINALS DUO™-ის და HEETS™-ის გასახურებელი თამბაქოს ღერები არსებული ჯანმრთელობის მდგომარეობის დროს, მიმართეთ ექიმს კონსულტაციისთვის.

## ⚠ მნიშვნელოვანი ინფორმაცია უსაფრთხოების შესახებ

**⚠ გაფრთხილება** **გადაცდენასთან, გადაყლაპვასთან, მოხმარებასთან დაკავშირებული საფრთხეები**

- შეინახეთ IQOS ORIGINALS DUO™-ის და HEETS™-ის გასახურებელი თამბაქოს ღერები ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას.
- გადაცდენის საფრთხე — IQOS ORIGINALS DUO™-ის აქსესუარები და HEETS™-ის გასახურებელი თამბაქოს ღერები შეიცავს მცირე ნაწილაკებს.
- გადაყლაპვის საფრთხე — თუ HEETS™-ის გასახურებელი თამბაქოს ღერები გადაგეყლაპათ, მიმართეთ ექიმს დაუყოვნებლივ ნიკოტინით ინტოქსიკაციის საფრთხის გამო.

**⚠ გაფრთხილება** **ელექტრო და ელემენტთან დაკავშირებული რისკები**

# ელექტრორისკები

# მოცემული უსაფრთხოების ზომებისა და ინსტრუქციების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ხანძარი, აფეთქება,

ელექტროშოკი, დაზიანება, ზიანი მიაყენოს პროდუქტს ან სხვა ქონებას:

- მხოლოდ განსაზღვრულმა მომხმარებლებმა უნდა გამოიყენონ IQOS ORIGINALS DUO™.
- დატენეთ IQOS ORIGINALS DUO™-ის დამტენი მოწყობილობა მხოლოდ IQOS ORIGINALS DUO™-თვის შემუშავებული კვების ბლოკის მოდელით, რომელიც მოთავსებულია ყუთში, ან ხელმისაწვდომია თქვენს ადგილობრივ IQOS™-ის მაღაზიებში. იხილეთ მომხმარებლის სახელმძღვანელოს ტექნიკური მონაცემების ნაწილი IQOS ORIGINALS DUO™-თვის შემუშავებული კვების ბლოკების სიის სანახავად.
- არ გამოიყენოთ სხვა ბრენდის აქსესუარები IQOS ORIGINALS DUO™-თან ერთად.
- დატენეთ IQOS ORIGINALS DUO™-ის დამტენი მოწყობილობა Safety Extra Low ვოლტაჟზე. იხილეთ ამ მომხმარებლის სახელმძღვანელოს

ტექნიკური მონაცემების განყოფილება ვოლტაჟის შესახებ დეტალებისთვის.

- არ გამოიყენოთ IQOS ORIGINALS DUO™ იქ, სადაც ელექტრონული მოწყობილობების გამოყენება აკრძალულია.
- დატენეთ IQOS ORIGINALS DUO™-ის დამტენი მოწყობილობა მხოლოდ დახურულ შენობაში, როგორც ამას გვიჩვენებს სიმბოლო .
- არ გამოიყენოთ IQOS ORIGINALS DUO™ ან დატენოთ IQOS ORIGINALS DUO™-ის დამტენი მოწყობილობა და/ან IQOS ORIGINALS DUO™-ის აქსესუარები თუ ისინი დაზიანებული, ფალსიფიცირებული ან გატეხილია.
- არ გამოიყენოთ IQOS ORIGINALS DUO™ თუ მისი ელემენტი ჟონავს.
- არ გამოიყენოთ, დატენოთ, ან შეინახოთ IQOS ORIGINALS DUO™ მაღალი ტემპერატურის მქონე ადგილებში (როგორიცაა მანქანის სალონი ზაფხულში, ან სითბოს გამომცემ წყაროსთან, როგორიცაა რადიატორი ან ბუხარი).

- არ გამოიყენოთ IQOS ORIGINALS DUO™ იქ, სადაც წარმოდგენილია აალებადი მასალა, სითხე და გაზი.
- არასდროს გაავლოთ ან მიაკაროთ IQOS ORIGINALS DUO™ ან მისი აქსესუარები წყალს ან/და სხვა სითხეებს. არ შეეხოთ IQOS ORIGINALS DUO™-ს ან/და მის აქსესუარებს, თუ ისინი დასველდება ან ჩავარდება რაიმე სითხეში.
- არასოდეს გადაადგოთ IQOS ORIGINALS DUO™ ან/და მისი აქსესუარები სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებთან ერთად, რადგან ის შეიძლება კონტაქტში შევიდეს წყალთან და/ან სხვა სითხეებთან.
- არ გაწმინდოთ მოწყობილობა რაიმე საწმენდი საშუალებით.
- პერიოდულად გაასუფთავეთ IQOS ORIGINALS DUO™-ის დამტენი მოწყობილობის USB დამტენის ბუდე, რათა თავიდან აიცილოთ უცხო ნივთიერების (როგორიცაა მტვრის ნაწილაკები)

დაგროვება, და შეამოწმეთ USB დამტენის ბუდე USB კაბელის გამოყენებამდე.

- გამოაერთეთ IQOS ORIGINALS DUO™ ან/და მისი აქსესუარები დენის ნებისმიერი წყაროდან დატენვისას ზედმეტად გაცხელების, დაკვამლიანების, აალების, ან წვის შემთხვევაში.
- არ შეეხოთ IQOS ORIGINALS DUO™-ს და/ან მის აქსესუარებს ზედმეტად გაცხელების, დაკვამლიანების, აალების, ან წვის შემთხვევაში.
- სიფრთხილით მოეპყარით. არ დააგდოთ IQOS ORIGINALS DUO™ ან მოაქციოთ ძლიერი დარტყმის ქვეშ.
- ნუ შეეცდებით IQOS ORIGINALS DUO™-ის რომელიმე კომპონენტის გახსნას, გადაკეთებას ან შეკეთებას ან რომელიმე კომპონენტის ან ელემენტის შეცვლას.
- გამოიყენეთ IQOS SORIGINALS DUO™ 0° და 40° C შორის ტემპერატურაზე.

**ელემენტის რისკები**

IQOS ORIGINALS DUO™ იყენებს დალუქული ლითიუმ-იონურ (Li-on) ელემენტებს. გამოყენების ნორმალურ პირობებში ელემენტი დალუქულია.

- თუ ელემენტიდან გამოჟონილი სითხე გადაგეყლაპათ, დაუყოვნებლივ მიმართეთ სამედიცინო დახმარებას. ნუ გამოიწვევთ პირღებინებას ხელოვნურად და ნუ მიიღებთ საკვებს ან სასმელს.
- თუ ელემენტიდან გამოჟონილი სითხე ჩაისუნთქეთ, გადით სუფთა ჰაერზე და მიმართეთ სამედიცინო დახმარებას.
- ელემენტიდან გაჟონილი სითხის კანთან კონტაქტის შემთხვევაში, დაიბანეთ ხელები და არ შეეხოთ თვალებს.
- ელემენტიდან გამოჟნილი სითხის თვალთან კონტაქტის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ჩამოიბანეთ გამდინარე წყლით სულ მცირე 15 წუთის განმავლობაში და მიმართეთ ექიმს.

**⚠ გაფრთხილება** **თერმული დამწვრობის რისკი**

უსაფრთხოების ზომებისა და ინსტრუქციების დაუცველობამ შესაძლოა გამოიწვიოს თერმული დამწვრობა:

- შეინახეთ IQOS ORIGINALS DUO™-ის და HEETS™-ის გასახურებელი თამბაქოს ღერები სუფთა, მშრალ და გრილ ადგილას.
- არ მოათავსოთ IQOS ORIGINALS DUO™-ის და HEETS™-ის გასახურებელი თამბაქოს ღერები მაღალი ტენიანობის პირობებში და მზის სხივების პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ.
- არ გამოიყენოთ HEETS™-ის გასახურებელი თამბაქოს ღერები, თუ ისინი მაღალი ტემპერატურის და ტენიანობის პირობებშია.
- არ ამოიღოთ HEETS™-ის გასახურებელი თამბაქოს ღერები მათი გამოყენებისას.
- არასოდეს შეეხოთ IQOS ORIGINALS DUO™-ის გასახურებელ დანას.
- არასოდეს გამოიყენოთ IQOS ORIGINALS DUO™-ის გასახურებელი მოწყობილობა გასახურებელი მოწყობილობის თავსახურის გარეშე.

**⚠ გაფრთხილება** **ალერგიული რეაქციის საშიშროება**

- IQOS ORIGINALS DUO™-ის და HEETS™-ის გასახურებელი თამბაქოს ღერების გამოყენებამ შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი ალერგიული რეაქციები, როგორიცაა სახის, ტუჩების, ენის, ღრძილების, ყელის ან სხეულის შეშუპება, სუნთქვის გაძნელება ან ხმაურიანი სუნთქვა.
- შეწყვიტეთ IQOS ORIGINALS DUO™-ის და HEETS™-ის გასახურებელი თამბაქოს ღერების გამოყენება და დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს თუკი შეამჩნიეთ რომელიმე ზემოთ-ჩამოთვლილი სიმპტომი, რადგანაც ის შესაძლოა მიუთითებდეს სერიოზულ ალერგიულ რეაქციაზე.

**HEETS™-ის თამბაქოს ღერების ექსკლუზიური გამოყენება**

- შეიძინეთ IQOS ORIGINALS DUO™-ის და HEETS™-ის გასახურებელი თამბაქოს ღერები მხოლოდ IQOS™ -ის ადგილობრივ ან სხვა ავტორიზებულ საცალო გაყიდვების მაღაზიებში.
- გამოიყენეთ მხოლოდ IQOS ORIGINALS DUO™-ის და HEETS™-ის გასახურებელი თამბაქოს ღერები. არასოდეს გამოიყენოთ IQOS ORIGINALS DUO™ სიგარეტთან ან მსგავს პროდუქტთან, რომელთა გამოყენებაც არ არის ნებადართული IQOS ORIGINALS DUO™-თან ერთად. ამან შესაძლოა გამოიწვიოს დაზიანება.
- არ შეცვალოთ HEETS™-ის გასახურებელი თამბაქოს ღერები ან/და არ დაამატოთ რაიმე სახის ნივთიერება. ამან შესაძლოა გამოიწვიოს დაზიანება.

**შეტყობინება გვერდითი მოვლენების ან ინციდენტების შესახებ**

- თუკი IQOS ORIGINALS DUO™-ის ან/და HEETS™-ის თამბაქოს ღერების გამოყენებისას შეამჩნიეთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ნებისმიერი გვერდითი მოვლენა, გაიარეთ კონსულტაცია ექიმთან.

- გვერდითი მოვლენის ან ინციდენტის შესახებ შეგიძლიათ შეატყობინოთ ქოლ-ცენტრს. (დეტალები შეგიძლიათ იხილოთ მომხმარებლისთვის განკუთვნილ საგარანტიო ბუკლეტში). გვერდითი მოვლენის ან ინციდენტის შეტყობინებით, თქვენ ხელს შეუწყობთ მეტი ინფორმაციის მოწოდებას ამ პროდუქტის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.
- დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ ეწვიოთ ვებგვერდს www.iqos.com

## ტექნიკური მონაცემები

**გასახურებელი მოწყობილობა**
IQOS 3 მოდელი A1404/
IQOS ORIGINALS DUO™
მოდელი A1406
ელემენტის ტიპი: Li-ion-ის
მრავალჯერადად დამუხტვადი
ელემენტი სიმძლავრე:
5 ვ ⎓ 1.6 ა
დამზადებულია ჩინეთში

**გასახურებელი მოწყობილობა**
IQOS 3 მოდელი A1504/
IQOS ORIGINALS DUO™
მოდელი A1505
ელემენტის ტიპი: Li-ion-ის
მრავალჯერადად დამუხტვადი
ელემენტი
სიმძლავრე: 5 ვ ⎓ 2 ა
Bluetooth® 4.1
დამზადებულია ჩინეთში

IQOS ORIGINALS DUO™ დამტენი მოწყობილობა მონიშნულია სიმბოლოთი ⌂, რომელსაც მოსდევს „SxxAxx“, რაც იმაზე მიუთითებს, რომ IQOS ORIGINALS DUO™-ის დამტენი მოწყობილობა შეიძლება დაიტენოს მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილი IQOS ORIGINALS DUO™-თვის შემუშავებული კვების ბლოკის ერთ-ერთი მოდელით.

**კვების ბლოკი:**
მოდელი: S82A40, S82A41, S82A42, S82A43, S82A45, S82A46 სიმძლავრე: 100 ვ-240 ვ~ 50-60 ჰც 0.3 ა
გამტარუნარიანობა: 5.0 ვ ⎓ 2.0 ა
გამავალი სიმძლავრე: 10.0 ვტ
წარმადობის საშუალო ეფექტურობა: 79.0 %
დამზადებულია ჩინეთში
დატვირთვის გარეშე ენერგიის მოხმარება: <0.09 ვტ

**გამოიყენება USB TYPE C კაბელთან ერთად**
დამზადებულია ჩინეთში

**საწმენდი ხელსაწყო**
დამზადებულია ჩინეთში

**საწმენდი ჩხირები**
დამზადებულია ვიეტნამში

## ინფორმაცია IQOS ORIGINALS DUO™-ის უტილიზაციის შესახებ

### მოქმედებს ევროკავშირსა და ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში

სიმბოლო პროდუქტზე ან მის შეფუთვაზე მიუთითებს, რომ ეს პროდუქტი და მისი ცალკეული ნაწილები (ელემენტის ჩათვლით) არ უნდა განთავსდეს სხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად. თქვენი პასუხისმგებლობაა განათავსოთ ნარჩენები და გადასცეთ ისინი გადამუშავების პუნქტს, რათა მოხდეს ნარჩენების, ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების გადამუშავება. გარდა ამისა, განმუხტული ელემენტის დაბრუნებას შეძლებთ შესყიდვის ადგილას.

ნარჩენების (მათ შორის ელემენტების) შეგროვება და დახარისხება ხელს შეუწყობს ბუნებრივი რესურსების დაზოგვას და ნარჩენების შემდგომ გადამუშავებას, რითიც ხდება ადამიანების ჯანმრთელობის და გარემოს გაფრთხილება. ნარჩენების, ნაწილების მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე გადაგდებამ (გადაყრა, დაწვა) შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე.

## ელემენტის ამოღების ინსტრუქცია (უტილიზაციისა და გადამუშავებისთვის)

**მომხმარებელმა არ უნდა ამოიღოს ელემენტი პროდუქტის ექსპლუატაციის ვადის ამოწურვისას. მხოლოდ ავტორიზებულ გადამამუშავებელს შეუძლია ელემენტის უსაფრთხოდ ამოღება, ქვემოთ მოცემული ნაბიჯების მიხედვით:**

IQOS ORIGINALS DUO™-ის დამტენი მოწყობილობა (A1505):

ნაბიჯი 1: დაშლამდე, მოწყობილობა სრულად უნდა იყოს გამორთული დენის წყაროდან. მოაშორეთ საფარი, შემდეგ, კი, ხრახნები ორივე მხრიდან.

ნაბიჯი 2: გამოაცალკევეთ დამტენი კორპუსიდან.

ნაბიჯი 3: მოუშვით ხრახნები დამჭერის მოსაცილებლად.

ნაბიჯი 4: გამოაცალკევეთ თითოეული დრეკადი პლატა (FPC) და შესაერთებელი, რათა მოაშოროთ ნაბეჭდი პლატა (PCB)

ნაბიჯი 5: ამოიღეთ ელემენტი და გადააგდეთ ის ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად.

IQOS ORIGINALS DUO™-ის გასახურებელი მოწყობილობა (A1406):

ნაბიჯი 1: მოწყობილობა სრულად გამორთული უნდა იყოს დენის წყაროდან მის დაშლამდე. მოაშორეთ გასახურებელ მოწყობილობას წინა ნაწილი.

ნაბიჯი 2: მოაშორეთ უკანა ნაწილი.

ნაბიჯი 3: მოაშორეთ ჩართვა/გამორთვის ღილაკი.

ნაბიჯი 4: მოაშორეთ წებო და სარჩული ელემენტის შუა ნაწილისა და ჩარჩოსგან გასაცალკევებლად. შუა ნაწილი უნდა გაიჭრას გასახსნელად წებოს გამო.

ნაბიჯი 5: ამოიღეთ ელემენტი და გადააგდეთ ის ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად.

**შესრულების დადასტურება**

ამრიგად, Philip Morris Products S.A. აცხადებს, რომ IQOS ORIGINALS DUO™ აკმაყოფილებს 2014/53/EU დირექტივის სხვა აუცილებელ მოთხოვნებს და შესაბამის დებულებებს. შესაბამისობის ოფიციალური დეკლარაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ-გვერდზე: www.pmi.com/declarationofconformity

IQOS ORIGINALS DUO™ მოდელი A1505 მოქმედებს 2.402-2.480 GHz სიხშირის ჯგუფში მაქსიმალური RF გამომავალი ენერგიით 10.dBm- ის ქვემოთ.

შექმნილია და წარმოებულია „ფილიპ მორის პროდაქტს ს.ა.“-ს ნებართვით, ჟან რენოს სანაპირო 3, ნოშატელი 2000, შვეიცარია.

Bluetooth® სიტყვიერი ნიშნები და ლოგოები წარმოადგენს რეგისტრირებულ სავაჭრო ნიშანს, რომელიც ეკუთვნის Bluetooth SIG, Inc.-ს. Philip Morris Products S.A– ს და მისი შვილობილი კომპანიების მიერ ამ ნიშნების ნებისმიერი გზით გამოყენება ლიცენზირებულია

© 2020 “Philip Morris Products S. A.”
IQOS სასაქონლო ნიშანი ეკუთვნის “ფილიპ მორის პროდაქტს ს.ა.”-ს, ჟან რენოს სანაპირო 3, ნოშატელი 2000, შვეიცარია.